№ 121, ივნისის 9, კვირა. 1866—1885 ივნისის 9, კვირა. № 121.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. რიცხვი სტრიქონებისა ითვლება მათგან დაჭერილის ადგილის ყველობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია გერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## „დროების“ ფასი ივნისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 4 მანათი და 50 კაპ.

## შინაური ქრონიკა

—— გუშინ დავესწარით ბ. ვ. დერინგის ხელოვნურს-ოპტიურს წარმოდგენას და სწორედ რომ ხელოვნური წარმოდგენაც იყო. იქ ვნახეთ თვალისათვისაც სასიამოვნო სურათები და გონებისათვისაც სასარგებლო. სხვათა შორის ცხადად გვაჩვენა ბატონმა დერინგმა პლანეტთა მოძრაობის სისტემა მზისა და მთვარის გარშემო, კუდიანი ვარსკვლავი და სხვ. გარდა ამ სურათებისა ვნახეთ სხვა-და-სხვა ქალაქების და შესანიშნავ შენობათა სურათები, ასე გასინჯეთ ჩვენი მთაწმინდაც და მთავარ-მმართებლის სახლიც კი. წარმოდგენა საოხუნჯო სურათებით გათავდა. ხალხი საკმაოდ დაესწრო.

—— თბილისის წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელში წრეულს 385 მოსწავლე ყოფილა. მათ შორის თავადების, აზნაურების, ოფიცრების და ჩინოვნიკების ქალები 312 ყოფილა; სასულიერო წოდებისა 7; მოქალაქეებისა 52; სოფლის მცხოვრებლებისა 5 და სალდათებისა 9. ეროვნობის მიხედვით მოწაფენი ასე იყოფიან: რუსები 214, ქართველები 111, სომხები 52, ნემცები 6 და თათარი 2.

—— ბათუმიდამ გვწერენ: «პარცოვმა იოსელიანის მამული აიღო იჯარით. შემოღობა მთლად ეს დიდი ადგილი, მოხნა და ბაღს აკეთებს. რადგანაც ეს ადგილი შიგ ქალაქის პირშია, ამიტომ არ შეიძლება საქონელი არ მოხვდეს. აი ამ შემთხვევაში რას სჩადიან პარცოვის ხელქვეითნი მოხელენი: ღობის მოშორებით რომ საქონელი დაინახონ, ცდილობენ ახლოს მიიტყუონ, ან როგორმე შიგ ბოსტანში შეუშვონ. მაშინ დაიჭერენ საქონელს და, სანამ თითო სულში სამ მანათს არ მიუტანენ, პატრონს აღარ აძლევენ. ამას წინად აი რა ამაღელვებელი საქციელი ჩაიდინეს პარცოვის ერთგულმა მონებმა. პატივცემულმა იბრაჰიმ ბეგმა აბაშიძემ ჩამოიყვანა მთიდგან თავისი მშვენიერი ცხენი, რომელიც სულ უკანასკნელი 250 მანათი ღირდა. ეს ცხენი თურმე გაუშვეს. მისულა ბაღთან, პარცოვის მოხელეებმა თურმე მოწამლეს იგი და ცხენი რამდენიმე საათის შემდეგ საშინელის წვალებით მოკვდა. ამ გვარივე საქმე დამართეს სხვა ორს ბედაურს ცხენს. რა მტარვალობაა თქვენი ჭირიმეთ, მაგრამ ბათუმში ეს ჩვეულებრივი ამბავია!!»

—— იქიდამვე გვწერენ: «მიუხედავად იმისა, რომ დამოჟნის პოსტები ნახევარ გირვანქა ბრინჯს, ნაჭერს ჩითს და ნაჭერს საპონს არ ატანენ, როგორც დაწესებულია, მაზრის მცხოვრებლებთ, უზდელადაც ექცევიან მგზავრებს, განსაკუთრებით ჭურთის და ბოშის დედაკაცებს, რომელთაც ძალიან უზდელად და ბრიყვად სინჯავენ. შლიაპები და აფხუწული კაბები უნდა ეცოთ იმ უბედურებს, რომ მაშინ იმათაც კაცურად მოექცნენ! ნუ თუ ესენი კი ადამიანები არ არიან?! ერთ პოსტზე ისეთი ერთგული მოხელეები თურმე ბძანდებიან, რომ მგზავრებს ხდიან ქუდებს, ჩუსტებს, პერანგს და სხვ., თუ შეიტყეს, რომ ცოტათი მაინც ახლები არიან. პოსტებზე ჯვარცმით არა თავდება საცოდავი მგზავრების საქმე. პოსტების ზევით უნდა გასინჯონ ისინი ხელახლად კორდონის ყარაულებმა; თუ ნახევარ-გირვანქა რამ უპოვეს მაშინათვე უკან დააბრუნებენ და დაარქმევენ კონტრაბანდას, რაშიაც უბედურს მგზავრს ცხენი ეყიდება.»

—— იქიდამვე გვატყობინებენ: «ნურიას» ახალი პ—ციის მოხელე დაუნიშნეს. ღალოცვილს წარმოუდგენია, რომ ბახუსის თაყვანისცემა და ექიმების დატუსაღება შეადგენსო პ—ციის მოხელის წმინდა მოვალეობასაო. ამ რაინდმა ამას წინად ერთი ექიმი ბ. ნ. ხ. დაატუსაღა მხოლოდ იმიტომ, რომ ექიმი ამ გმირს უპაგონებოთ ექიმად არ მიაჩნია. ისეთ მდგომარეობაში გახლავთ «ნურია», რომ მგონი აქ მოუყრიან თავს რაც ქვეყანაზედ ხოლერის მიკრობებია!»

—— გაზეთს „კავკაზს“ სწერენ სიღნაღიდამ, რომ ცხენების პარვა ხელ-ახლად გახშირდაო. მაგალითად ერთს სოფ. გაჯინში წარსულს წელს ექვსი ცხენი მოუპარავთ. მართალია, სოფლის მოხელეებს დაუდგენიათ ქურდების აღმოჩენა და დანაკარგის ზღვევა; მაგრამ ამას ან არ ასრულებენ და თუ ასრულებენ, დამკარგველს იმდენს ფასს აძლევენ, რომ დაკარგული ცხენი იმად არა ღირსო. ბევრი უსვინიდისო კაცი თურმე

### ნანგრევთა შუა ლამპარი

(ი. მ—ძეს მეუნარგიას.)

ნანგრევთა შუა მდინარეობდა ჩვენი ცხოვრება;
ნანგრევთა შუა ივერიის-მე იღზდებოდა;
ნანგრევნი—შთენნი იყვნენ მხოლოდ მის საკუთრება;
მათ შუა ქვეყნად მოდიოდა და მიდიოდა.

—

ნანგრევთა შთენთა ვით დედასა შესთვალსებია,
იგინი იყვნენ მის სამშობლო და მისი არე;
ნანგრევნი—შთენნი ვით სამშობლო მას ჰყვარებია;
მათზედ უღვრია სისხლი ღვარად და ცრემლი მწარე.

—

მათთან ყოფილა გაუყრელად მისი სიცოცხლე,
უგზო-უკვალოდ ნანგრევთ შუა მას უხეტნია;
მისთვის დენილა გმირად და ბნელად სიცოცხლე მოკლე;
მათ აღდგენისა მას იმედი აღარ ჰქონია;

—

და უიმედოს, უსასოოს გული სწყდებოდა;
ეკარგებოდა მას ნელ-ნელად სითბო გულისა;
ნათელნი დღენი თამარისა ავიწყდებოდა,
აღარ ახსენდა მას ვით ძველად მღერა მუზისა.

—

და შთამოღვრილი ელინთ სწავლის წყარო ნათელი
იშრიტებოდა,—და სწყდებოდა მის წმინდა ჩქეფა;
ნათელს მამულსა, მშვენიერსა იცვამდა ბნელი,
გულით დამშვრალის ბნელდებოდა მის მის გონება.

—

მაგრამ ქართველი სულით მაინც არ იყო მკვდარი:
შთამომავლობა იყო გმირთა მზის-თამარისა;
მაგრამ შთენთ შუა ეგრძნებოდა რაღაც ლამპარი,
და მისი სხივი უნათებდა ვით სხივი მზისა.

—

ვით განთიადზედ ნამის ცვარი, მთიდგან ნიავი
განაცხოველებენ ველზედ მდელოს სიცხით დამშვრალსა,
ეგრედ იმ წმინდის, ნათლის ლამპრის ნათელი სხივი
აცხოველებდა ქართველის გულს, გადაგებულსა.

—

ნანგრევთა შუა უნათებდა იგი მწუხარს გზას;
ის ჰქონდა ქართველს თვის მნათობად შვიდს საუკუნეს;
შვიდს საუკუნეს შეჰხაროდა და შესტრფოდა მას;
მის ნათელს სხივში ის ჰპოებდა ძალსა და ღონეს.

—

და თუ აქამდინ არ დაბნელდა ჩვენი გონება,
და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის გვალადვე სდგება,—
და თუ აქამდინ არ დავკარგეთ სითბო გულისა,—
იგია მადლი იმ ნათელის, წმინდის ლამპრისა.

—

მაგრამ აღაგრძნო ვისმა ხელმა და გრძნად ეღგრძნება?
აღაგრძნო ვინა? დიდმა შოთამ და არც განჰქრება.
სხივნი?—მის ლექსნი „აღმომხდარნი მის მაღლის სულით,
„ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით,
„მოკამკამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,
„ალმას-ზურმუხტნი, მარგალიტნი უფასო თვალნი“,

—

მაგრამ აქამდინ ნანგრევთ შუა მხოლოდ მნათობდა,
და აქამდინა ქართველის გულს მხოლოდ ათბობდა;
და აწ მადლი შენ, გსურს გაცნო იგი ევროპას,
განათლებისა, სწავლის დიდს ერს და დიდს ქვეყანას.

ვ. ო.

### სვანეთის სამთავროს გაუქმება

(შემდეგი *)

ბაგარინმა ჩვეულებრივ ალერსიანად და პატივის-ცემით მიიღო კოსტანტინე.

— ძალიან ვწუხვარ, რომ წირვის დროს შეგაწუხეთ; მაგრამ მიზეზს იზიუმსკი შეგატყობინებდათ. მე თქვენი საქმის შესახებ ქაღალდი მივიღე.

მან აიღო ქაღალდი და სთხოვა იზიუმსკის დადიშკელიანისათვის წაეკითხა და ქართულად გადაეთარგმნა. იგინი ყველანი ფეხზედ იდგნენ. დადიშკელიანი კარების მარჯვნივ იდგა და ზურგი ბუხრისკენ ჰქონდა შექცეული, მის გვერდით იზიუმსკი იდგა, თვითონ ბაგარინი კი კაბინეთში ბოლთასა სცემდა მოსული ქაღალდის კითხვის დროს. კითხვის დროს კოსტანტინე თან-და-თან შუბლს იჭმუხნიდა, თვალები სისხლით ევსებოდა.

კითხვა გაათავა იზიუმსკიმ და ბაგარინმა დაიწყო ლაპარაკი:

— როგორც ხედავთ, თქვენი საქმე

*) იხილე „დროება“ № 120.

ზოროტად ხმარობს მოხელეების დადგენილობას: ერთი ვაჭრისთვის მოუპარავთ ცხენი, რომელიც 50-დამ 60 მანეთამდის ღირებულა, მაგრამ სოფლის საზოგადოებას კი დამკარგველი 250 მან. სთხოვსო. ამისთანა მაგალითები ბევრი ჩხდებაო.

## შენიშნვა.

### გ—ბ—კ—ის მტარვალობის მსხვერპლნი.

ამ უცნაური სათაურის წაკითხვის დროს, უეჭველია, ყოველი მკითხველი განცვიფრდება და უნებლიედ იფიქრებს: ვინ გ—ბ—კ—ია, რა მტარვალობა მამხდარა, ან რა მსხვერპლებზედ არის ლაპარაკი? პასუხს მკითხველი ქვემოდ ნაამბობიდან შეიტყობს.

ორიზათვის პირველს რუსეთიდან ხუთი-ექვსი დაბრუნებული ყმაწვილი კაცი გამოვედით ბათუმიდამ მატარებლით და მხიარულად მოვდიოდით შინისკენ; ლანჩხუთის სტანციამდინ ბუროულების და მათი უმშვენიერესი ბუნების მეტი არაფერი უჩვეულებრივო არა შეგვხვედრია რა. ლანჩხუთის სტანციაზედ კი უცბად შემოცვივდენ ვაგონში თხუთმეტამდინ ქართლელი მუშები დაბრანძულის ჩოხებით, დაფლეთილი ხელსახოცებით თავწაკრულნი, სახე-ჩაყვითლებულნი, საშინლად გამხდარნი. მათმა უცბად შემოსევამ ყველანი გაგვაკვირვა: შუა გულ ბურიაში რამ გააჩინა ქართლელები ამ გაცხარებული ხვნა-თესვის დროს? ბამოვკითხეთ თვითონ მათ მიზეზი უდროოდ აქ ყოფნისა, და რაც აღმოჩნდა, ძნელია მისი მოთხრობა გულგრილად და შეუშფოთებლად.

მშიერებმა, ავადმყოფებმა, უგროშოდ ჯიბეში, შორს თავიანთ სამშობლო პერიოდან, საცოდავებმა არ იცოდენ რომელი ქვისთვის ეხალათ თავი და რა გზით ჩაეხწიათ ახალქალაქამდინ! ერთის დღის განმავლობაში ბათუმიდამ სამოცდა-ათი ვერსი გამოევლოთ ქვეითად რკინის გზის ლიანდაგზედ, რადგან სხვა გზას ვერცკი გაიგნებდენ; ზოგს მუხლები დახუთოდა და სიარული რომ ველარ შესძლებია, უყიდნიათ ბილეთი შემდეგს სტანციამდინ, რაღაც ორ-ორი საცოდავი შაური გდებიათ ჯიბეში, რომ ვაგონში დაესვენათ და შემდეგ ხელმეორედ გასდგომოდენ მშიერი მუცლებით შარა გზას.

ყოველი მათგანი ოხვრით ამბობდა, რომ ნეტავი კი როგორმე სურამამდინ მივახწევინაო და მერმე იქიდგან როგორც იქნება სახლში ჩავალთო; იქ ზოგს ნათლია გვყავსო, ზოგს ნაცნობიო.

მხურვალე მონაწილეობა მიიღო მათს ბედში პატივცემულმა მაზრის ექიმმა ნ. ხუდადოვმა, რომელიც შემთხვევით იმდროს იქ შეგვესწრო. იგი ხან მთას ეცა, ხან ბარს, ხან კონდუკტორებს, ხან კონტროლიორს ეხვეწა, რომ ბაგაჟის ვაგონით მაინც წაეყვანათ სურამამდინ, რადგან შიმშილისა და ავადმყოფობის გამო საცოდავებს ფეხის გადადგმა აღარ შეეძლოთ. როგორც მაზრის ექიმი, თაოულობდა, რომ შიმშილისა და ციებ-ცხელების ამარად არ დაეტოვებინათ სტანციის უფროსებსაც ეხვეწა, რომ დეპეშით გამოვთხოვათ ნება, ვისგანაც ჯერ არს, მათი უფასოდ გადაყვანისა, მაგრამ არა გამოვიდა რა. კონტროლიორიც, სტანციის უფროსებიც გულ-გრილად უპასუხებდენ: ჩვენი საქმე არ არისო, თუ ძალიან გსურთ მათი შველა, თქვენ თვითონ გამოთხოვეთ დეპეშით ნებართვაო. მატარებელმა ჩვენ მალე მოგვაშორა იმ ადგილებს და არ ვიცით, რა მდგომარეობაში არიან ეხლა ის ბედისაგან დევნულნი.

მოიჯარადრე გ—ბ—კ—ის მტარვალობას და მის გულქვაობას საზოგადოებამაც და მთავრობამაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს. გ—ბ—კ—მა უნდა აგოს საზოგადოების წინაშე პასუხი, რომ მისი წუწკი აგენტების მანქანების გამო თხუთმეტი ბეჩავი მუშა დაილუპება გურიის ჭაობებში შიმშილით და ციებ-ცხელებით. ჩვენ შემთხვევით მარტო თხუთმეტს მის მსხვერპლს წავაწყდით, და ვინ იცის რამდენი რიცხვია დანარჩენ მუშათა! გ—ბ—კ—სა აქვს იჯარით აღებული ბათუმის სამხედრო სიმაგრეების სამუშაო და ადგილობრივ რომ საკმარისი მუშები ვერ უპოვნია, გაუგზავნია საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში წვრილმანი აგენტები მუშების საშოვნელად. აი ორი ამ გაიძვერათაგანი, ვილაც პეტრიკა და ნიკოლოზ ს. დოქსიდამ, გაჩენილან ახალქალაქში, შეუგულიანებიათ სხვა-და-სხვა დაპირებებით თხუთმეტამდინ კაცი, პირობა მიუციათ, რომ ჩვენი ხარჯით გამოგისტუმრებთ, თუ სამუშაო არ მოგეწონებათო, თვეში თხუთმეტს მანეთს დაჰპირებიან და გაულალნიათ ბათუმში. მაგრამ ბათუმში სამუშაო წმინდა ჯოჯოხეთური აღმოჩენილა, ეს კიდევ არაფერი, რ—ი ს—ი სულ თავპირს ამტვრევდენ თურმე საცოდავებს, რომ ჩქარა იმუშავეთო. ორვრამეტი დღის განმავლობაში სულ ხუთხუთი მანათა მიელოთ და იმითიც სახურავი ეყიდნათ (ეგ სახურავები ტამოჟნას კონტრაბანდათ უცვნია და არ გამოუტანებია). გ—ბ—კ—ს და მის ტურტლიან აგენტებს არამც თუ დაუჭერიათ ხვედრი ფული, არამედ უკანასკნელი პირობაც არ შეუსრულებიათ-თავიანთი ხარჯით წაყვანა სახლამდინ და გაუშვიათ თხუთმეტი ავადმყოფი კაცი ღვთის ამარად! ვსთხოვ უმორჩილესად რუსული გაზეთების რედაქციებს გადაბეჭდონ თავიანთ გამოცემებში ამ შენიშვნის შინაარსი.

ა. ყ—ქ.

## პასუხი

### მოწამლმართე დასს თელავში.

(იხ. „დროება" №№ 108 და 109).

ვიღებ, მკითხველო, კალამს ხელში, მაგრამ რისთვის და ვისთვის? იმისთვის, რომ დღეს თელავის მოწამლმართე დასს ეცოტავა სიტყვიერად და კერძო წერილებით ყოველ-გვარი ჭორ-სიცრუის მოფენა საზოგადოებაში და ხელი მიჰყო გაზეთს, რომელიც, მოგეხსენებათ, ფართო იარაღს წარმოადგენს ამ გვარის საქმისათვის.

ვისაც წაუკითხავს «დროების» № 85-ში სტატია «მოწამლმართე დასი თელავში», ის ნათლად დაინახავდა, რომ ამ მოწამლმართე დასს, შემდგარს მართლაც და ომბკურანტებისაგან (სიბნელის მოყვარეთაგან), წინ უდგება მეორე დასი, დასი საქმისა და სიკეთისა, დასი, რომლის «ყოვლად-თავ-განწირულს მოქმედებას უნდა უმადლოდეს თელავი, რომ დღეს იგი პატრონია ოთხი არა მცირე-მნიშვნელოვანი საზოგადო დაწესებულებისა: სავაჭრო დეპოსი, სახალხო ბანკისა, სახალხო სკოლისა

---

ხემწიფესთან გაიგზავნა; საბოლოვოდ იქ გადასწყდება. ჩვენი ხემწიფე მოწყალეა და იმედი უნდა გქონდეთ, რომ უნუგეშოდ არ დაგტოვებთ. მაგრამ სანამ პეტერბურგიდამ პასუხი არ მოსულა, მთავარ-მმართებელმა საცხოვრებლად ერევანი დაგინიშნათ. ახლა თქვენ იქ უნდა წახვიდეთ.

დადიშკელიანი თავ-ჩაღუნული უგდებდა ყურს გაგარინის ლაპარაკს და როდესაც გაათავა, მალე არ მიუგო პასუხი.

— უთხარ თავადს,—სთხოვა მან იზიუმსკის:—რომ ხემწიფისა და მთავარ-მმართებლის ნების წინააღმდეგ მოქცევა ფიქრადაც არ მომსვლია; მაგრამ როგორ წავიდე ერევანში, როდესაც სახლში ბევრი გაჯლაბარდებული საქმე მაქვს. ამასთანავე ჩემი სახლობა სამი თვეა არ მინახავს.

— მე ყველა მართალია, მაგრამ რა განკარგულებასაც მომანდობთ თქვენი სახლის საქმეების შესახებ, ყოველისფერი შესრულდება. მე განვგებ მაგისთვის დავნიშნავ სანდო პირს, სვანეთში წავა და თქვენს საქმეებს მოაწყობს.

— არა, იქ ჩემი ყოფნა უსათუოდ საჭიროა. მე ჩემს საქმეებს ვერავის ვერ მივანდობ და კვალად გიმეორებთ, რომ სახლობაც დიდიხანია არ მინახავს... გამიშვით შინ, ყოველისფერს გავარიგებ და დავბრუნდები.

— მაგის ასრულება არ შემიძლიან, მთავარ-მმართებლის მოწერილობა უსათუოდ უნდა ავასრულო. თქვენი გაშვება შეუძლებელია, უსათუოდ ეხლავე უნდა წახვიდეთ ერევანში; იქიდამ თქვენ თითონ მისწერეთ ბარიათინსკის და ის მოახერხებს, როგორ დაგკმაყოფილოთ.

— მე მაინც გთხოვთ, რომ ეხლავე შინ გამიშვათ.

— არა, არ შემიძლიან!

გაგარინმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

— გამიშვით სამს თვეს, ყოველიფერს გავარიგებ და დავბრუნდები.

— როგორ, სამს თვეს!—გაიხარხარა გაგარინმა:—სამი დღითაც ვერ გაგიშვებთ, ვერც სამი საათით. დღესვე უნდა წახვიდეთ.

დადიშკელიანს გადაუთარგმნელადაც კარგად ესმოდა გაგარინის ლაპარაკი; როდესაც მან კვალად დაიწყო ოთახში სიარული, იზიუმსკის დაენახა, რომ დადიშკელიანს რამდენჯერმე ხანჯალზედ მოესვა ხელი, ამისათვის ფრანცუზულად ეთქვა გაგარინისათვის: «გაფთხილდით, თავადო, მოკვლას გიპირობთ».

გაგარინი ისე აღელვებული იყო, რომ იზიუმსკის სიტყვები ვერ გაეგონა.

— მე იმისთვის დაგიბარე,—დაიწყო კვალად გაგარინმა:—რომ მთავარ-მმართებლის ბძანება გამომეცხადებინა, რომელიც ეხლავე უნდა ასრულდეს, თქვენთან სათქმელი სხვა არაფერი მაქვს. დღესვე უნდა წახვიდეთ ერევანში.

გაგარინმა თავი დაუკრა და ამით აცნობა, რომ ჩვენს შორის ლაპარაკი გათავდაო.

დადიშკელიანი ადგილიდამ არ იძროდა.

— უთხარი მას,—სთხოვა კონსტანტინემ იზიუმსკის:—რომ მე ფული სრულიად არა მაქვს.

როდესაც იზიუმსკიმ ეს გადაუთარგმნა, გაგარინი ცოტა დამშვიდდა და მიუგო:

— მაგაზედ ნუ შესწუხდება, ფული არაოდეს არ დააკლდება, პოლკოვნიკს ბარტოლომეის სახარჯო ფული საკმაოდ ეძლევა. მას შეუძლიან მოსთხოვოს, რამდენიც უნდა. მაგრამ მე თვითონაც შემიძლიან ფული მივცე.

გაგარინი თავის სტოლისკენ წავიდა და დაიწყო ფულის ამოღება. მაგრამ ამ დროს დადიშკელიანმა იშიშვლა თავის საშინელი ხანჯალი, მივარდა გაგარინს და ერთხელ ხელში დაჰკრა, მეორედ მუცელში...

ამ წამიდამ გენერალ-გუბერნატორის სასახლე სწორედ რომ ყასაბხანა გახდა; გაგარინის გარდა გაშმაგებულმა დადიშკელიანმა სამი კაცი კიდევ მოჰკლა

თარჯიმანი არდიშვილი გულში გაიგმირა და მაშინვე მოკვდა, ნიკოლოზ ილინი რამდენიმე ალაგს დაჭრილი აგრეთვე მალე იმის კვალს გაუდგა მზარეული მაქსიმეც გარედ ეგდო დაჭრილი. დანარჩენები გაიქც-გამოიქცნენ და ამით უშველეს თავს. ეს ამბავი მთელს ქალაქს მოეფინა და ყველანი გაგარინის სახლისაკენ მორბოდენ; ლინეინის ჯარის როტაც მოვიდა. გუბერნატორი ივანოვი და პოლიცმეისტერიც იქ გაჩნდენ. დაჭრილი გაგარინი გარედ გამოვარდნილიყო. თავს ექიმები ადგნენ.

მაგრამ სად არის დადიშკელიანი, იგი აღარ სჩანდა; ყველა ფაცი-ფუცში და ამ დროს სომხების ქუჩიდამ მოისმა ხმა: «აქ არის, აქ არის!» კომანდირი თავის ჯარით მაშინვე იქით გაექანა; გამოჩნდა რომ დადიშ-

და საზოგადო «წიგნთ-საკითხავისა». მგონია, ცხადადა სჩანს აქედამ, რომ თელავის მოწალმართე დასს თუ ჰქონდა რამე გასასწორებელი ანგარიშები, უნდა ჰქონოდა მოლევაწე დასთან, მაგრამ იგი თავისი «ნადიკვრელით» სახელდობრ მე მომადგა და «ოქმებ-რიცხვებით», რასაკვირველია თავიდამ ბოლომდის მოგონილებით, ცდილობს დაანახოს ქვეყანას, რომ ი. პ. როსტომაშვილი სრულიადაც არ არის საზოგადო მოღვაწე, რომ დეპოს, სკოლის, ბანკის და წიგნთ-საკითხავის დაფუძნებაში როსტომაშვილს ერთი დანგი ლავწლიც არ მიუძღვისო და სხვ. და სხვ.

ჩემის ფიქრით, ლიტერატურული წესი მოითხოვდა, რომ ჩემ წინააღმდეგ საჯაროდ დამწერს უნდა გამოეაშკარავებინა თავისი სახელ-გვარი, რომ მით მეც საშუალება მომცემოდა მისი ავი მხარენი, მოქმედებანი და განზრახულებანი იარაღად მეხმარა იმისავე სახელის ლაფში ამოსვრისათვის, მაგრამ, რადგანაც დამწერი პსევდონიმის ქვეშ ამოეფარა, ამიტომ მე მხოლოდ ის მრჩება, რომ ჩემზედ დაბეჭდილს სიცრუეზედ თავი ვიმართლო და ამით მაინც ვაჩვენო ქვეყანას ჩემი სრული უანგარობა და სიმართლე. თუმცა მძნელება ჩემზედ ლაპარაკი, მაგრამ მეტი რაღა მრჩება, უნდა სიმართლე ვსთქვა, ე. ი. ის, რაც და როგორც ნამდვილად საქმე იყო.

ა) საზოგადო დეპო.

«თელავის დამზოგველი საზოგადოების დაარსებაში, იმაზედ კითხვის აღძვრაში და ფულების მოკრეფაში ი. როსტომაშვილსაო ერთი დანგი ლავწლიც არ მიუძღვისო».—აქ მხოლოდ ერთი სიმართლეა: ეს ის, რომ ამ საზოგადოების წესდების შედგენაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია, რადგანაც მაშინ მე სხვაგან ვმსახურებდი, ასე რომ, როდესაც მე თელავში მოვედი, წესდება რამდენიმე წლის შედგენილი იყო და მისი განმახორციელებელი-კი არსადა სჩანდა. ხოლო რაც შეეხება ამ საზოგადოების ფაქტიურად დაარსება-განხორციელებას, ეს სრულიად (არ ვამბობ ამას ხოტბობით, არამედ საქმის საჩვენებლად) ჩემი საქმე იყო და აი როგორ: ნ. მთვარელიშვილს, რომელსაც ძირი გამოუთხარეთ თქვენისთანა ობსკურანტ-მოწალმართეებმა, ერთი კაპეიკიც არ შეუკრებია ვაჭრობის დასაწყისად. იმას შეეკრიბა მხოლოდ სათადარიგო თანხა, ე. ი. დაუბრუნებელი სამ-სამი მანათი და მხოლოდ ეს ფული გარდმომცა მე, სულ 128 მან. ჰკითხეთ მთვარელიშვილს, თუ არა გჯერათ. რაც შეეხება თვითონ სავაჭრო თანხის მოკრებას და დეპოს გახსნას, ეს სრულიად ჩემი პირადი საქმე იყო. იმ დროს, როცა თქვენ, მოწალმართენო, მხოლოდ ერთმანეთს ძირს უთხრიდით, მე, მარტოდ-მარტო კაცი, ვჯდები ცხენზედ და ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში ციგ-ბომბორის უცნობი გზებით ჩავდივარ საგარეჯოში იქაური დეპოს გასაცნობად და იქიდამ ქალაქში სავაჭროს სასყიდლად. ვყიდულობ საქონელს თვით, როგორც უბრალო მაწანწალა მეწვრიმალე, მომაქვს იგი თელავში და მკათათვის 8-ს 1882 წელსა ფაქტიურად, თითქოს ძალით, ვაწყობინებ სიცოცხლე—ცხოვრებას თელავის დამზოგველ საზოგადოებას. ვინ არ იცის ეს: ძუძუ-მწოვარა ბალღმაც-კი იცის, რომ თელავის დეპო მხოლოდ ჩემი საკუთარის გარჯვა-გამბედაობით იყო გახსნილი...

თქვენ ამბობთ, რომ მე ვიყიდე «ისეთი საქონელი და ისე ძვირად, რომ იმის გაყიდვა ყოვლად შეუძლებელი შეიქმნაო, როგორც სიძვირისა, ისე საქონლის უვარგისობისაგამოო». სრული სიცრუეა, მოწალმართევ, ეს ამბავი. რომ საქონელი შესაფერი და არც ძვირად იყო ნაყიდი, სჩანს იქიდამ, რომ მაშინ ყველა, დიდი და პატარა, საკვირველს სიაფეს გაიძახოდა და ამბობდენ: «ეხლა-კი დავრწმუნდით, თუ როგორ გვატყუებდენ და გვცარცვავდენ ჩვენაო». ეს იმისთანა შესანიშნავი და დაუვიწყარი კულტურული გამარჯვება იყო ქართველებისა, რომლის მზგავსი ბევრი არ მოიპოვება ჩვენს საწყალობელს ცხოვრებაში. ან რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი: ჰკითხეთ ხალხს, ამ ყოველ შურს და სიბილწეს მოკლებულს გენიას და ის გეტყვის ჭეშმარიტებას—მე გავხსენი დეპო, მე გავუკვლიე მას მკვიდრი მომავალი და სხვ., თუ შენ და შენისთანებმა, ბ. ნადიკვრელო! ეს ერთი.

ახლა მეორე. მოწალმართე დასი, თავისი ბნელის «ნადიკვრელით» ბრძანებს, რომ თუ დეპომ 775 მანათზე მოიგო 460 მანათი, ე. ი. 60%, მაშასადამე ი. როსტომაშვილს ურიოლად უცარცვნია მსყიდველები—ასზე 60% აულია. მაგრამ ვისაც რამე გაეგება ვაჭრობისა, იმისათვის ცხადია, რომ აქ გასაკვირველი არაფერია და აი რათა: როგორც თვით «ნადიკვრელი» ბძანებს დეპოს წელიწადში გაუყიდნია 30,000 მანათისა (ვსთქვათ რომ ასე იყო) და ამ ფულის გაყიდულ საქონელს შემოუტანიაო 460 მანათი მოგება კი არა, არამედ $1^{8}/_{15}$%-ო. ახლა რა გამოდის [illegible] აქედამ ის გამოდის, რომ მე [illegible] გამოყიდნია ყოველ-გვარი საქონელი, რომ თითო მანათის გასყიდულს საქონელზე საშუალოდ ვაგებინებდი დეპოს მხოლოდ $1^{8}/_{15}$ კაპეიკსა და არა 60 კაპეიკსა, როგორც გვხმით თქვენ, მოწალმართეებსა. და თუ ჩვენ ვამბობთ, რომ 775 მანათმა წილის ფულმა და არა 995 მანეთმა, როგორც ამბობთ თქვენ, რადგანაც 220 მანათი სათადარიგო თანხად (რომელსაც არავითარი მოგება არ ეძლევა ამხანაგობის საერთო მოგებიდამ) ითვლება და არა სავაჭრო თანხად, მოიგო 460 მანათი, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თუმცა მე მანათზე ვაგებინებდი დეპოს მხოლოდ უუმცირეს მოგებას—$1^{8}/_{15}$ კაპეიკსა, მაინც ამხანაგობის წილის ფულს ერგო დიდი პროცენტი, რადგანაც ვაჭრობა ისეთი ფრიადი სიცოცხლით და სრულის ცოდნით იყო წარმოებული (და არა ისე, როგორც თქვენ აწარმოებთ, რომ წარსულს მარტში 73 ფუთი მარტო საპონი იყიდეთ, რომელიც შეადგენს 14 თვის სავაჭრო მასალას, რადგანაც დეპოში ხუთ ფუთზე მეტი ტოლეს საპონი არ იყიდება თვეში), რომ წელიწადში, როგორც თქვენა ბძანებთ, 30,000 მანათის საქონელი იქმნა გაყიდული.

შემდეგ ბ. მოწალმართე ბძანებს, რომ დეპოს უნდა მოეგო არა ნაკლებ 5% ვაჭრობის თანხაზე, ე. ი. წმინდა მოგება უნდა ყოფილიყოო არა ნაკლებ 1,500 მანათისა, თუ არ 3,000 მანათისა. აი ყოჩაღი მოანგარიშე და მათემატიკოსი!! ამდენამდენს რომ იგებდენ, ბ. მოწალმართევ, საზოგადო დეპოები, ხომ ყვე

---

კლიანი ბაქრაძის სახლში იყო. სახლს გარშემო შემოეხვივნენ და სთხოვდენ დადიშკელიანს თავის ნებით დანებებოდა; მაგრამ მან ისეთი დიდი დივანი მიადგა სახლის კარებს შიგნიდამ, რომ შემდეგ რამდენიმე კაცმა ძლივს დასძრა. ბაქრაძის სახლში თოფი ეპოვა და იმითიც სამი კაცი დასჭრა. მაშინ გუბერნატორმა უბრძანა თოფები ესროლათ და როდესაც ხელში დაიჭირა, მაშინვე დანებდა მთავრობას და ნაობახტში წაიყვანეს.

ერთსა და იმავე დროს გაიგზავნენ—იზიუმსკი ბოლქში გაგარინის ცოლის მოსაყვანად და ერთი კაციც ტფილისში მთავარ-მმართებლის შესატყობინებლად. მაშინ ტელეგრაფი ჯერ არ იყო.

გაგარინი მძიმედ იყო დაჭრილი და დიდის ხნის ტანჯვის შემდეგ ოქტომბრის 27-ს, პარასკევ დღეს, მიიცვალა.

თალიხან არდიშვილი და ნიკოლოზ ილინი იმისთვის დაიღუპნენ, რომ გაგარინის ერთგულნი იყვნენ. პირველს მათგანს რამწამს გაეგო გაგარინის ძახილი, მაშინვე გაეძრო ხმალი და დადიშკელიანისათვის უნდოდა დაეკრა, მაგრამ დადიშკელიანს აეცდინა მოქნეული ხმალი და თვითონ დაეცა მისთვის გულში ხანჯალი. ილინს უკანიდამ დაეჭირა დადიშკელიანი, მაგრამ მალე გაშვებოდა ხელიდამ და იმისთვისაც იქვე მოეღო ბოლო. მზარეული მაქსიმე გამოსდგომოდა დადიშკელიანს, როდესაც იგი კიბეზედ ჩადიოდა, მაგრამ იგიც ერთის დაკვრით წაექცია, თუმცა ჭრილობა სასიკვდილო არ გამოდგა. დადიშკელიანი მისულიყო რიონის ნაპირზედ და ჰფიქრობდა გასულიყო წყალში თუ არა, მაგრამ რადგანაც ფონი არა სცოდნოდა, უკანვე დაბრუნებულიყო და სომხების ქუჩაზედ ამოსულიყო. აქედამ წავიდა იგი ბაქრაძის სახლში.

ბარიათინსკიმ დადიშკელიანი სამხედრო სამართალში მისცა და ამისათვის სამის დღის შემდეგ თბილისიდამ გენერალი თავადი ბებუთაშვილი მოვიდა ქუთაისს.

კონსტანტინე მარცხენა ხელში იყო დაჭრილი და ძალიან იტანჯებოდა, მაგრამ მისი გასამართლება მაინც დაიწყო. კონსტანტინემ თავის დამცველად სამეგრელოს მმართველი ნ. პ. კოლიუბაკინი ამოარჩია, მაგრამ რადგანაც იგი იმ დროს ქუთაისში არ იყო, ამ ამორჩევაზედ უარი უთხრეს და სასამართლომ თვითონ დაუნიშნა დამცველად გუბერნატორი გენერალი ივანოვი. სასამართლოში კონსტანტინემ სთქვა, რომ გაგარინი გაბრაზების დროს მოვკალი და ძალიანა ვწუხვარო;—«გაგარინი კარგი კაცი იყო და მას ჩემს შესახებ არავითარი ბოროტება არ ჩაუდენია, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს კი თავისი გულფიცხობით და ჯიუტობით მოთმინებიდამ გამომიყვანა. იგი მიყვიროდა და მე, როგორც მთავარი, ყვირილს ჩვეული არა ვარ. მე იმისი კი არა, უსლარისა და ბარტოლომეის მოკვლა მინდოდა, რომელნიც მავნებელნი არიან და გაგარინსაც გზა-კვალი აურიეს., ამისათვის ძალიან ვწუხვარ, რომ იგინი არ მოვკალი. ვწუხვარ და ვლოცულობ ჩემგან დახოცილის არდიშვილის და ილინის სულისათვის: მაგრამ მათი მოკვლა ჩემი ბრალი არ არის, იგინი მომცვივდენ და თუ მე არ დამესწრო, უსათუოდ მომკლავდენ.» სასამართლომ დახვრეტა გადაუწყვიტა და ეს გადაწყვეტილება მეორე დღესვე ასრულდა.

აი რამდენი სისხლი დაიღვარა სვანეთის პატარა სამთავროს გაუქმების გულისათვის, რომლის არსებობაც რუსეთის იმპერიაში არც-კი ვინმეს იცოდა. სამწუხარო იყო ისეთი კარგი პირის დაკარგვა, როგორიც გაგარინი იყო; მისდამი ჩაბარებულმა მხარემ ბევრი დაჰკარგა მისი სიკვდილით. არ შეიძლება არ ვიწუხოთ თვითონ კონსტანტინე დადიშკელიანზედაც, რომელმაც დანაშაული იმ დროს მოახდინა, როდესაც საშინლად იყო აღელვებული და გაცოფებული; არ შეგვიძლიან არ მოვიხსენოთ, რომ სიყმაწვილითვე იგი ცუდს გარემოებაში ჩავარდა, მეზობელთ შორისაც ბევრი მტრები ჰყავდა და მათ ბარტოლომეი და უსლარიც მიემატნენ, რომელნიც თავიდა-თავი მიზეზნი იყვნენ კონსტანტინესგან მოხდენილის დანაშაულობისა და განსაკუთრებით უფრო უსლარი. საუბედუროდ ჩვენ დღევანდლამდის ვერ მივხვდით, რომ ყოველივე მცირეოდენის სამთავროს გაუქმებას ამისთანა სამწუხარო შედეგი მოსდევს, თუ რომ გონივრულად და მართებულად არ ექცევიან მის მთავრებს. მაგალითები თვალწინა გვაქვს: საქართველოს დედოფლის დარიასაგან ლაზარევის მოკვლა, და ერევნის ხანისაგან ციციანოვისა. კონსტანტინეს რომ რიგიანად და გონივრულად მოჰქცეოდენ, დარწმუნებული ვარ, რომ მაშინ ეს სამწუხარო ამბავი არ მოხდებოდა და კონსტანტინეც დღევანდლამდის თავის ძმებსავით ცოცხალი იქნებოდა,

(შემდეგი იქნება).

ლანი დახლიდრად ჩადგებოდით და სოკოსებრ გამრავლდებოდენ იგინი საქართველოში! თვით თქვენა ბძანეთ, რომ ანგარიშის წელიწადში თელავის დეპოსა ჰქონდა 2,000 მანათი (იმაში 775 მანათი საკუთრად ამხანაგების წილის ფულია და დანარჩენი ვალი, რომელიც სრულიად მოშორებული იყო იმავე წელს) სავაჭრო თანხა. ეს სრული ჭეშმარიტებაა, რომელსაც დამტკიცება არ უნდა. ახლა იანგარიშეთ ხუთი პროცენტი 2,000 მანათზე და ნახავთ, რომ დეპოს თქვენის თქმით, მხოლოდ ასი მანათი უნდა ჰქონოდა მოგება, რადგანაც 2,000 მანათის ხუთი % სწორედ ასი მანათია და არა 1500—3000 მანათი!.. აგრეთვე სრული სიცრუეა ის, ვითომც, მე თვითონ დამენიშნოს ჩემის ძმისათვის, ორის თუმნის მაგივრად, სამი თუმანი. ჩემმა ძმამ (რომელიც განგებ იყო ჩემგნით გაგზავნილი ოდესაში ორის წლით ვაჭრობის შესასწავლებლად და იმ დროს ის იყო ჩამოვიდა აქ ვაჭრობაში დახელოვნებული), როდესაც მას მისცეს წინადადება დეპოში დახლიდრობაზე, პირ-და-პირ გითხრათ: «თუ მამცემთ სამს თუმანს თვეში ხომ კარგი დავდგებით და თუ არა ორ თუმნად მე სამსახური არ შემიძლიანო». გამგეობის ყველა წევრნი დათანხმდენ ამაზედ, რადგანაც მასზე უკეთესი მაშინ არავინ ეგულებოდათ დახლიდრად, რაზედაც ე. ი. სამის თუმნის ჯამაგირის დანიშვნაზედ, განჩინებაც იყო დაწერილი, რომელზედაც ხელი უწერიათ გამგეობის წევრებს და რომლის მოწამენი არიან ზაქარია ჩხიკვაძე და დათიკო ჭადაგიძე, რომელნიც შემთხვევით იმ კრებაზე და ამ კითხვის გარდაწყვეტის დროს დაესწრნენ.

(დასასრული შემდეგ)

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

იენისის 7-ს

**ლონდონი.** მინისტრთა შორის თანამდებობათა განაწილების შესახებ შემდეგი ცვლილება მოხდა: ნორსკოტი იქნება ხაზინის პირველ ლორდად, ბელფური ადგილობრივი სამმართველოების თავ-მჯდომარედ და სტენგოპ საიდუმლო რჩევის თავ-მჯდომარის მოადგილედ.

**მანჩესტერი.** კალიფტონგოლის მადნებში უბედურება მოხდა: 140 მუშაკაცი დაიღუპა, მათ შორის 40 მკვდარი იპოვეს; ნანგრევებ ქვეშ მოყოლილთა გადარჩენა შეუძლებელია.

იენისის 8-ს.

**პეტერბურგი.** გამოცხადდა წესდება და შტატი ხარკოვის ტეხნოლოგიურის ინსტიტუტისა.

კასპიის იქითა მხარეს მეოთ ყაზახებისგან ცხენოსანი ბრიგადა სდგება. რომელსაც სახელად ერქმევა კასპიის იქითა მხრის ცხენოსანი ბრიგადა.

**ლონდონი.** პარლამენტების სხდომები გადაიდო, რადგანაც სალისბიურიმ და გლადსტონმა გამოაცხადეს, რომ კონსერვატორების მოლაპარაკებამ ლიბერალებთან არავითარი ნაყოფი არ მოიტანა.

## ბირჟა

პეტერბურგი იენისის 7.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | —$24^3/_{16}$ $24^{11}/_{32}$ $24^3/_{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | — 206 $206^3/_4$ $206^1/_4$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | — 255, $255^3/_4$ |
| პოლუიმპერიალები | — 8 მ. 16 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — 8 მ. 14 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— | — 6 და $6^3/_4$% |
| 5% ბილეთები სახემწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — | — 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — $97^3/_4$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — $97^1/_2$ მ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — | — $97^1/_4$ მ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — | — $97^3/_4$ მ. გაყ. |
| 5% ალმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — | — 95 მ. 12 კ. გაყ. |
| მეორე გამოც. — | — 94 მ. 62 კ. გაყ. |
| მესამე გამოც. — | — 94 მ. 84 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — 224 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა | — $209^1/_2$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — | — $169^1/_2$ მ. გაყ. |
| თბილისის სადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — | — 27 წ. 89 მ. გამყ.<br>43 წ. $88^1/_2$ მ. გამყ. |
| ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ.<br>43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

**სააავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**სამკურნალოში**, რომელიც თბილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდის საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის; საწამლებლად ბენკლევსკი—10—11 საათამდე—სახირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10 - 11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე სირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**

8 საათზე და 35 წამ. დილით.

**ბათუმიდამ თბილისში შემოდის**

10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**

10 საათზე 55 წამზე ღამით.

**ბაქოდამ თბილისში შემოდის**

8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

**სურამიდამ თბილისში შემოდის**

8 საათზედ 24 წამ. დილით.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 თიბათვიდამ 15 თიბათვემდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.

ახალქურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. $2^1/_2$

მეორისა — — —1 გ. 2 კ.

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

პირველი ხარისხის —1 გ. $4^1/_2$

მეორისა — — —1 გ. 3 კ.

მესამისა — — —1 გ. $2^1/_2$

**ჯვარის-მამის პური:**

პირველის ხარის. ლავაში 1 გ. $4^1/_2$

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. $3^1/_2$

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

**მროხის ხორცი:**

პირველის ხარისხისა — 1 [illegible]

მეორისა — — —1 [illegible] 7 კ.

სუკი— — — —1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი— —1 გ. 9 კ.

**ღორის ხორცი:**

პირველის ხარისხისა – 1 გ.

მეორისა — —1 — გ.


# განცხადებანი

გამოცდილი დიასახლისი

(ეკონომკა)

ქართველის ან სომხის ოჯახში დიასახლისის ადგილს ეძებს; თანახმა არის სოფლადაც გაჰყვეს.

მსურველს შეუძლიან ნახოს «წყლის საზიდ» პატარა ქუჩაზედ, სახლი მართა ფონოვისა, იკითხეთ ლოლუა.

(1—1)

ევროპის ბაღში



დღეს იენისის 9-ს.

პირველ დიდს

ხელოვნურ-ოპტიურს წარმოდგენას

გამართავს გამოჩენილი ფიზიკოსი ვ. დერინგი.

მოძრავ უდიდესს დაბუნდულს სურათებს უჩვენებს

სიდიდით 15 არშინიანებს.

დასაწყისი კონცერტისა: 7-ს საათზედ; წარმოდგენისა 9 საათზედ.

იმ დღეს, როდესაც ჩემი წარმოდგენები გაიმართება ევროპის ბაღში მასკარადის ბალები არ იქნება.

ვისაც ჩემი აპარატების ნახვის სურვილი აქვთ — უფასოდ შეუძლიანთ ნახონ.

დაწვრილებითი ცნობანი აფიშაში იქნება; სამშაბათს იენისის 9-ს მეორე წარმოდ გენა იქნება.

(2—2)

თბილისის ქალაქის

# გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ რადგანაც მოქალაქემ ალექსი ჯანჯულაზოვმა არ შეასრულა გადაწყვეტილება თბილისის მე-2-რე განყოფილების მომრიგებელის-მოსამართლის თანაშემწესი, ამისთვის თანხმად აღმსრულებელის ფურცლისა, (მიღებული იენისის 6-ს 1878 წელს, № 1853) იენისის 14-ს დილის 11 საათზედ, ქალაქის გამგეობის დასწრებით იჯარით გაიცემა ჯანჯულაზოვის სახლის იმ კედლის აშენება, რომელიც ალადათოვის სახლის მხარეს არის მიქცეული, დახურულ ბაზარში. როგორც ამ სამუშაოს კანდიციების, აგრეთვე დაფასების შეტყობა მსურველთ შეუძლიან ყოველ დღე დილის 9-დგან ნაშუადღევის 1-ს საათამდის.

(2—2)


Доз. ценз. Тифлисъ, 8 Іюня 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ჭართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.